<u>პროექტი</u>

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო

განკარგულება №

---დეკემბერი 2021 წელი

ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, წავკისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩასთან არსებული უსახელო შესახვევისთვის ვახტანგ გორგასლის IV შესახვევის სახელის მინიჭების შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის - "ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი" 68-ე მუხლის პირველი პუნქტის „გ" ქვეპუნქტის, „მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", საქართველოს მთავრობის 2015 წლის 1 ივნისის №239 დადგენილებისა და „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე გეოგრაფიული ობიექტების სახელდების წესის დამტკიცების შესახებ", ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის №14-59 დადგენილების თანახმად, ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულომ დაადგინა:

1. მთაწმინდის რაიონში, წავკისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩასთან არსებულ უსახელო შესახვევს მიენიჭოს ვახტანგ გორგასლის IV შესახვევის სახელი, თანდართული რუკის თანახმად.

2. ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის მერიამ, ოთხი თვის ვადაში, უზრუნველყოს ამ განკარგულების შესასრულებლად საჭირო ღონისძიებების განხორციელება.

3. განკარგულება, ერთი თვის ვადაში, შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, №64).

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძე

X=479567 Y=4612395
ვახტანგ გორგასლის IV შეს.
X=479763 Y=4612313

19/032124438-03

განცხადების ნომერი: 19/032124438-03

განცხადების თარიღი: 01.09.2021 18:43

პასუხის გაცემის ვადა(ამ თარიღამდე ვადის ფარგლებშია): 2 მარ. 2022

დოკუმენტის სტატუსი: დამუშავების პროცესში - ვადის ფარგლებში

განმცხადებელი (დაინტერესებული პირი)

1	მარგალიტა ოქროპირიძე	01008001711	ქ. თბილისი, ზ. ფალიაშვილის ქ. 31

არჩეული ნომენკლატურა

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო / სახელდება და სიმბოლიკა / ქუჩა და გზის სხვა სავალი ნაწილები / ქმედება: სახელის დარქმევა

მოთხოვნის შინაარსი

მოთხოვნის ტექსტი *

მოგეხსენებათ, რომ თბილისში, სოფელ წავკისში, ვახტანგ გორგასლის ქუჩას გააჩნია რამოდენიმე გასასვლელი და ჩიხი.

ჩვენი მიწის ნაკვეთი (ს/კ 81.02.94.127) მდებარეობს ერთერთ დაუნომრავ/უსახელო ჩიხში. გთხოვთ გაითვლისწინოთ, ამასთან დაკავშირებით ჩვენთვის წარმოქმნილი რიგი პრობლემები და მოახდინოთ ამ ჩიხის იდენტიფიცირება.

თანდართული ფაილ(ებ)ი

ფაილის მიმაგრება

შენიშვნა

შენიშვნის ტექსტი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
TBILISI CITY MUNICIPAL ASSEMBLY

წერილის ნომერი: **03-032132634**
თარიღი: **22/11/2021**
პინი: **8739**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი ქალაქ თბილისის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო
მისამართი: თბილისი, შარტავას ქ. N7

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

სააგენტოს უფროსს ბატონ ვიქტორ წილოსანს

გაცნობებთ, რომ სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიაში მიმდინარეობს ადმინისტრაციული საქმისწარმოების პროცესი მოქალაქე მარგალიტა ოქროპირიძის 2021 წლის 2 სექტემბრის საქმე #19/032124438-03 დაკავშირებით, რომლითაც ითხოვს წავკისში უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სახელდებას.
გთხოვთ, შეისწავლოთ დანართში, ჩვენს მიერ არაპროფესიონალურად მოხაზული ტერიტორია (ს.კ.81.02.94.127) და გამოგვიგზავნოთ ხსენებულ საკადასტრო ერთეულთან გამავალი უსახელო გეოგრაფიული ობიექტის სიტუაციური ნახაზი ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 16 ივნისის #14-59 დადგენილების შესაბამისად.

დანართი 1 (ერთი) გვერდი.

მიხეილ ამაშუკელი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო-
სახელდებისა და სიმბოლიკის კომისია-კომისიის
თავმჯდომარე

გამოყენებულია კვალიფიციური
ელექტრონული ხელმოწერა/
ელექტრონული შტამპი

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიული პირი – ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტო

წერილის ნომერი: **16-01213401185**
თარიღი: **06/12/2021**
პინი: **6798**

ადრესატი: ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულო
მისამართი: თავისუფლების მოედანი N2

გადაამოწმეთ: **document.municipal.gov.ge**

17-032134120-03

სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარეს

ბ-ნ მიხეილ ამაშუკელს

მის: თავისუფლების მოედანი #2

ტელ:+995(32)2 15 92 92

ბატონო მიხეილ,

ქ. თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტომ განიხილა თქვენი 22.11.2021 წლის #03-032132634 (22.11.2021წ. #14-01213262989-16) განცხადება, რომლის პასუხადაც მოთხოვნის შესაბამისად გიგზავნით კარტოგრაფიულ მასალებს არსებული დასახლების, სკვერის, სპორტული მოედნის, გზის, ჩიხების, შესახვევისა და გასასვლელების მითითებით. (იხ. დანართი)

ვიქტორ წილოსანი

სააგენტოს უფროსი

გამოყენებულია კვალიფიციური ელექტრონული ხელმოწერა/ ელექტრონული შტამპი